

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება N [ნომერი]

ქ. [დასახელება]

[რიცხვი] [თვე] 20[••] წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ბანკი:

- 1.1.1. სახელწოდება (საფირმო): სს „საქართველოს ბანკი“;
- 1.1.1.1. საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869;
- 1.1.1.2. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა;
- 1.1.1.3. საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: [?];
- 1.1.1.4. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
- 1.1.1.4.1. სახელი და გვარი: [?];
- 1.1.1.4.2. თანამდებობა/სტატუსი: [?];
- 1.1.1.5. საკონტაქტო მონაცემები:
- 1.1.1.5.1. საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: [?];
- 1.1.1.5.2. თანამდებობა/სტატუსი: [?];
- 1.1.1.5.3. ტელეფონი: [?];
- 1.1.1.5.4. ფაქსი: [?];
- 1.1.1.5.5. ელფოსტა: [?];
- 1.1.1.6. საბანკო რეკვიზიტები:
- 1.1.1.6.1. ბანკის დასახელება: [?];
- 1.1.1.6.2. ბანკის კოდი: [?];
- 1.1.1.6.3. ანგარიშის ნომერი: [?];

1.2. კლიენტი:

- 1.2.1. სახელწოდება (საფირმო)/სახელი, გვარი: [?];
- 1.2.1.1. საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი: [?];
- 1.2.1.2. იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი: [?];
- 1.2.1.3. საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი: [?];
- 1.2.1.4. წარმომადგენელი (ხელმოწერი პირი):
- 1.2.1.4.1. სახელი და გვარი: [?];
- 1.2.1.4.2. პირადი ნომერი: [?];
- 1.2.1.4.3. თანამდებობა/სტატუსი: [?];
- 1.2.1.5. საკონტაქტო მონაცემები:
- 1.2.1.5.1. საკონტაქტო პირის სახელი და გვარი: [?];
- 1.2.1.5.2. თანამდებობა/სტატუსი: [?];
- 1.2.1.5.3. ტელეფონი: [?];
- 1.2.1.5.4. ფაქსი: [?];
- 1.2.1.5.5. ელფოსტა: [?];
- 1.2.1.6. საბანკო რეკვიზიტები:
- 1.2.1.6.1. ბანკის დასახელება: [?];
- 1.2.1.6.2. ბანკის კოდი: [?];
- 1.2.1.6.3. ანგარიშის ნომერი: [?];
- 1.2.1.6.3.1. ფულადი სახსრების ანგარიშის ნომერი: [?];
- 1.2.1.6.3.2. ფასიანი ქაღალდების ანგარიშის ნომერი: [?];

2. დეფინიციები

- თუ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს, ხელშეკრულებაში ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემულ დეფინიციებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 2.1. ანგარიში - კლიენტის მიმდინარე ანგარიში ან/და ფასიანი ქაღალდების ანგარიში, რომელიც მხარეთა შეთანხმებით გამოიყენება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების განსახორციელებლად;
 - 2.2. განცხადებები და გარანტიები - ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული კლიენტის განცხადებები და გარანტიები;
 - 2.3. დამატებითი პირობები - ხელშეკრულების დანართ N1-ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით;
 - 2.4. დანართი - თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;
 - 2.5. ვებ-გვერდი - ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის ამჟამინდელი მისამართია - www.bankofgeorgia.ge;
 - 2.6. კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები;
 - 2.7. მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება (ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება) - ხელშეკრულების საფუძველზე და მის შესაბამისად ბანკსა და კლიენტს, ან ბანკს/კლიენტსა და მესამე პირს შორის დადებული ყველა ხელშეკრულება ან/და სხვა დოკუმენტი, რომელთა დადება ან/და გაცემა გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან/და ხორციელდება მის საფუძველზე/შესაბამისად;
 - 2.8. მესამე პირი - ნებისმიერი პირი გარდა ბანკის ან/და კლიენტისა;
 - 2.9. კლიენტი - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია ხელშეკრულების 1.2. პუნქტში;
 - 2.10. მხარე/მხარეები - ბანკი ან/და კლიენტი (კონტექსტის შესაბამისად);
 - 2.11. პირი - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს;
 - 2.12. საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას;
 - 2.13. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი - კანონმდებლობით განსაზღვრული, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი;
 - 2.14. ფორს-მაჟორი - სტეტიური კატასტროფა, ხანძარი, საომარი მოქმედება, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და მხარეთათვის გადაუდებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები, რომლებიც: ა) არ არის დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, ბ) დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და გ) პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ჯეროვანად შესრულებაზე;

- 2.15. **ხელშეკრულება – მხარეთა შორის დადებული (ა) წინამდებარე საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;** (ბ) წინამდებარე საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების **დანართი N1 (დამატებითი პირობები)** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და (გ) ნებისმიერი დამატებითი **დანართი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც დაიდო/დაიდება მომავალში **მხარეთა** მიერ წინამდებარე საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საბროკერო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებასთან მიმართებაში, ამგვარ დოკუმენტებში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.
- 3. ხელშეკრულების საგანი**
- 3.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად **ბანკი** იღებს ვალდებულებას **კლიენტის** დავალების (შემდგომში - **დავალება**) საფუძველზე გაუწიოს მას **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** შეძენასთან, დაფარვასთან და გასხვისებასთან დაკავშირებული მომსახურება (შემდგომში - **მომსახურება**), ხოლო **კლიენტი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **ბანკს მომსახურების** საფასური (შემდგომში - **საკომისიო**).
- 3.2. **კლიენტი**, წინამდებარე **ხელშეკრულებით**, **კანონმდებლობით**, **ბანკის** მიერ დადგენილი რეგულაციების და **სახელმწიფო ფასიან ქაღალდთან** დაკავშირებული პრაქტიკის შესაბამისად ერთჯერადად ან მრავალჯერადად წარუდგენს **ბანკს დავალებას:**
- 3.2.1. **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** აუქციონზე **კლიენტის** მიერ განსაზღვრული ფასით (კონკურენტული) ან/და აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი ფასით (არაკონკურენტული) შეძენის შესახებ;
- 3.2.2. მეორად ბაზარზე **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** შეძენის ან გასხვისების შესახებ;
- 3.2.3. სხვა სახის **დავალებას**, რომლებიც შეიძლება წარუდგინოს **კლიენტმა ბანკს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** ბაზარზე.
- 3.3. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** გადასახდელი **საკომისიოს** მოცულობა განისაზღვრება **ვებ-გვერდზე** განთავსებული პირობების შესაბამისად.
- 3.4. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მისაცემი **დავალების** ფორმა განისაზღვრება წინამდებარე **ხელშეკრულების დანართით Nა**.
- 4. მომსახურების სპეციფიკური პირობები**
- 4.1. **მომსახურებასთან** დაკავშირებული პირობები განისაზღვრება წინამდებარე **ხელშეკრულების**, **კანონმდებლობის**, **ბანკის** მიერ დადგენილი რეგულაციების და **სახელმწიფო ფასიან ქაღალდთან** დაკავშირებული პრაქტიკის შესაბამისად.
- 4.2. **ბანკი** ვალდებულია:
- 4.2.1. **კლიენტის დავალების** საფუძველზე წარადგინოს განაცხადები **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** შეძენის/გასხვისების შესახებ აუქციონზე ან მეორად ბაზარზე;
- 4.2.2. **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** შეძენის შესახებ **კლიენტის დავალების** დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამისი მიზნობრივობით გადარიცხოს **კლიენტის** ფულადი სახსრები (ეროვნულ ვალუტაში) აუქციონის/ვაჭრობის დასრულებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** განმავლობაში;
- 4.2.3. **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** გასხვისების შესახებ **კლიენტის დავალების** დაკმაყოფილების შემთხვევაში ვაჭრობის დასრულებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში ჩაურიცხოს **კლიენტს ანგარიშზე** შესაბამისი ფულადი სახსრები (ეროვნულ ვალუტაში);
- 4.2.4. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში მიაწოდოს მას ინფორმაცია:
- 4.2.4.1. აუქციონის/ვაჭრობის შედეგების შესახებ;
- 4.2.4.2. **კლიენტის ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრების შესახებ და **კლიენტის** საკუთრებაში არსებული **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების** რაოდენობის შესახებ;
- 4.3. **კლიენტი** ვალდებულია:
- 4.3.1. **ბანკისათვის დავალების** მიცემის მომენტისათვის და შემდგომ, **ბანკის** მიერ **დავალების** სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს **ანგარიშზე** თანხის განთავსება **დავალების** შესაბამისად განსახორციელებელი გარიგების ღირებულების და **დავალების** ფარგლებში **ბანკისათვის** გადასახდელი **საკომისიოს** ოდენობით;
- 4.3.2. მიაწოდოს **ბანკს დავალება** აუქციონის ჩატარებამდე არაუგვიანეს წინა **საბანკო დღის** 18:00 საათისა.
- 4.4. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 4.4.1. არ მიიღოს **დავალება**, რომელიც არ შეესაბამება **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** მოთხოვნებს ან/და რომელთან დაკავშირებითაც **კლიენტის** მიერ არ შესრულდა **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულება, მაგალითად, **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** გასხვისების შესახებ **დავალება**, როდესაც **დავალებაში** მითითებული **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** ოდენობა აღემატება **კლიენტის ანგარიშზე** რიცხულ ოდენობას, **დავალება**, რომელიც არ შეესაბამება **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** მოთხოვნებს ან/და დაევიანებით მიეწოდა **ბანკს**, ან/და რომელიც შევსებულია არასწორად და ა.შ.;
- 4.4.2. **დავალების** შესრულების უზრუნველსაყოფად, **დავალების** მიღებისთანავე **კლიენტის ბანკში** არსებული **ანგარიშებიდან კლიენტის** დამატებითი თანხმობის თუ აქცეპტის გარეშე დაბლოკოს/ჩამოჭრას ნებისმიერი გადასახდელის (მათ შორის **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** შეძენისთვის აუცილებელი ფულადი სახსრების და **საკომისიოს**) შესაბამისი ფულადი სახსრები;
- 4.4.3. **კლიენტისაგან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** გასხვისების შესახებ **დავალების** მიღების შემთხვევაში, შესაბამისი **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი** დაბლოკოს **კლიენტის ანგარიშზე**, რა შემთხვევაშიც **კლიენტს** შეეზღუდება **სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** განკარგვის ან მათზე ნებისმიერი სხვა გარიგების დადების უფლება;
- 4.4.4. დააკმაყოფილოს **კლიენტის დავალების** შესაბამისად აუქციონზე/მეორად ბაზარზე წარდგენილი მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდება აუქციონზე/მეორად ბაზარზე;
- 4.4.5. არ ჩაურიცხოს **კლიენტს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის** გასხვისებისას/დაფარვისას შესაბამისი ფულადი სახსრები, სანამ ამ ფულად სახსრებს არ მიიღებს **ბანკი**;
- 4.4.6. მოითხოვოს **კლიენტისაგან** ნებისმიერი ინფორმაცია, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას;
- 4.4.7. **კლიენტის** დამატებით თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე გაუსხნას **კლიენტს** მიმდინარე ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში, თუ **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისათვის **კლიენტს** არ გააჩნია (ან **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე არ ექნება) მიმდინარე ანგარიში **ბანკში**. ამასთან, წინამდებარე **ხელშეკრულება** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** სათანადო წესით მიცემულ ანგარიშის გახნის დავალებად/განაცხადად.
- 4.5. თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ბანკი** უფლებამოსილია **მომსახურების** შესრულება და **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაანდოს/გადასცეს **მესამე პირს** (შემდგომში – **სუბკონტრაქტორი**).
- 4.6. **სუბკონტრაქტორის** მიერ **მომსახურების** შესრულებლობისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანისათვის (ზარალისათვის) პასუხისმგებლობა დაეკისრება **ბანკს** იმ შემთხვევაში, თუ **სუბკონტრაქტორის** შერჩევაში **კლიენტს** არ მიუღია რაიმე სახის მონაწილეობა.
- 5. განცხადებები და გარანტიები**
- 5.1. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
- 5.1.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის დროისათვის არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი **კანონმდებლობით** დადგენილი წესით);
- 5.1.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 5.1.3. მომავალში **დანართის** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 5.1.4. **ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
- 5.1.5. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), **საკანონმდებლო** ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;
- 5.1.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის, ის არ მონაწილეობს არც ერთ დავაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებას;
- 5.1.7. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი საქმიანობა ან/და ქმედება შესაბამისობაში არის/იქნება საკუთარ წესდებასთან ან/და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან და ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასთან;

- 5.1.8. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი **ხელშეკრულების** ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- 5.1.9. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული **ზანკის** მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** დასადავად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ **ზანკისათვის** წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება **კანონმდებლობის** შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;
- 5.1.10. მისთვის ცნობილია, რომ **ზანკის** პოლიტიკა მკაცრად დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს ღირებულების მქონე რაიმე ნივთის/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას ან მიღებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ამა თუ იმ **პირის**, **ზანკის**, მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ან მისი კლიენტის მიერ სარგებლის მიღების, ზიზნის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან შენარჩუნების ან/და სხვაგვარი ზიზნის უპირატესობის მიღების მიზნით;
- 5.1.11. მას (მათ შორის არც მის დირექტორს, უფლებამოსილ **პირს**, წარმომადგენელს, თანამშრომელს ან სხვა პერსონალს) ან მასთან დაკავშირებული **პირს** ან/და მის აფილირებულ **პირს**:
- 5.1.11.1. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, სასყიდელი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**; ან/და
- 5.1.11.2. არ განუხორციელებია რაიმე ქმედება (ფარული შეთანხმების ჩათვლით), რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა **მომსახურების** შესყიდვის პროცესზე ან **ხელშეკრულების** დადებამდე, რომლის მიზანია ფასების ხელშეკრულებით რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა; ან/და
- 5.1.11.3. არ შეუთავაზებია ან მიუღია ღირებულების მქონე რაიმე ნივთი/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა **ზანკის**, მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** ქმედებებზე, ასევე რომელიმე შემოადინებული **პირის** მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ, ზიზნის უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების, ან ზიზნის წარმოების მიზნით; ან/და
- 5.1.11.4. სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.
- 5.1.12. **ზანკის** პოლიტიკის ან ნებისმიერი შემოადინებული დებულების დარღვევა გამოიწვევს მის დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას **მომსახურების** შესყიდვის პროცესიდან ან/და **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შეწყვეტას. ამასთან, ამგვარი დისკვალიფიკაცია ან/და **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შეწყვეტა არ გამოიცხადებს **კლიენტის** ან/და მისი დირექტორის, უფლებამოსილი **პირის**, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული **პირის** ან/და მისი აფილირებული **პირის** პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** (მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც).
- 5.2. **კლიენტის** აღნიშნული **განცხადებები** და **გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
- 5.3. **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ზანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან** და **გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **კლიენტის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას.
- 5.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ზანკი** მხოლოდ **კლიენტის** შემოადინებული **განცხადებების** და **გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შესასრულებს **ხელშეკრულებას** ან/და **მასთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებას**.
- 6. მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები**
- 6.1. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, **მხარეები**:
- 6.1.1. უფლებამოსილი არიან სრულად და ჯეროვნად ისარგებლონ **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებებით;
- 6.1.2. მოვალენი არიან სრულად და ჯეროვნად შეასრულონ **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და შესაბამისი **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვალდებულებები.
- 7. მხარეთა პასუხისმგებლობა**
- 7.1. თუ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** დადგენილი წესით, ხოლო ზარალის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).
- 7.2. **ფორს-მაჟორის** მოქმედების განმავლობაში არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.
- 7.3. **მხარე**, რომელსაც დაეღება **ფორს-მაჟორი**, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უფროანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღისა**, აცნობოს მეორე **მხარეს** შესაბამისი **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორის** არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.
- 7.4. შეტყობინებაში მითითებული **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ი, თუ ისინი არ წარმოადგენენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს (გარემოებებს) ან მეორე **მხარეს** ეჭვი შეეპყრო მათ ნამდვილობაში, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის მიღებიდან ან შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობაზე ეჭვის გამოთქმის თაობაზე შეტყობინების მეორე **მხარისათვის** გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობა უნდა დადასტურდეს **კანონმდებლობით** განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ.
- 7.5. თუ **ფორს-მაჟორის** მოქმედება, შესაბამისი **მხარის** მიერ **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის თაობაზე ცნობის ან **ფორს-მაჟორული** გარემოებ(ებ)ის არსებობის დადასტურების თაობაზე სათანადო ორგანოს დასკვნის მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, აღნიშნული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადის გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღის ვადაში **მხარეებმა** უნდა გადაწყვიტონ **ხელშეკრულების** ბედი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ხელშეკრულება** ძალადაკარგულად ჩაითვლება.
- 8. ანგარიშსწორება**
- 8.1. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაძლო ანგარიშსწორების წესით.
- 8.2. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულება, გარდა **საკომისიოს** უნდა შესრულდეს (გადახდოს) უნდა იქნეს) ფულადი ვალდებულების წარმოშობის თარიღიდან (ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დღიდან, პირგასამტეხლოს მოთხოვნის დღიდან ან სხვა) 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, თუ ვალდებულების შესრულების (გადახდის) დღე დაემთხვა არასამუშაო ან გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვალდ გამოიყენება მომდევნო **საბანკო დღე**.
- 8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის **ზანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
- 8.4. უნაძლო ანგარიშსწორებისას თანხები უნდა ჩაირიცხოს შესაბამისი **მხარის ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **საბანკო ანგარიშზე** ან **მხარეთა** მიერ დამატებით შეთანხმებულ სხვა **საბანკო ანგარიშზე**.
- 9. კომუნიკაცია მხარეთა შორის**
- 9.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარდებოდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეღოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე

მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, SWIFT-ის ან **ზანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

- 9.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
- 9.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების ან დეკემბის გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **ზანკის** მიერ, გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კლიენტის** მიერ, **ზანკის** კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო **საბანკო დღეს**;
- 9.2.2. ფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია **ზანკის** მიერ, გაგზავნის თარიღიდან მეორე **საბანკო დღეს**; (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია **კლიენტის** მიერ, **ზანკის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან.
- 9.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.
- 9.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემზე, რომელსაც ერთი **მხარე** აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
- 9.5. **ხელშეკრულებით** შეიძლება გათვალისწინებული იყოს შეტყობინების განხორციელება **ხელშეკრულების 9.1. პუნქტით** გათვალისწინებული კომუნიკაციის კონკრეტულად ერთ-ერთი საშუალებით, ან განსხვავებული ფორმით.

10. კონფიდენციალურობა

- 10.1. **მხარეები** ვალდებული არიან, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც დაიცვან მეორე **მხარისაგან** მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- 10.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:
 - 10.2.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
 - 10.2.2. თუ ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
 - 10.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
 - 10.2.4. თუ ინფორმაციის **მესამე პირისთვის** გამჟღავნება მოხდება ა) **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, რა შემთხვევაშიც ინფორმაციის გამცემი **მხარე** სრულად აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე ან ბ) რომელიმე **მხარისგან** დამოუკიდებლად.
- 10.3. **ზანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **მესამე პირს კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ზანკის** უფლებების განხორციელების ან/და **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

11. პრეტენზიები და დავები

- 11.1. **ხელშეკრულებიდან** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მითიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- 11.2. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მირთავეენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ზანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დააუყოვნებლივ აღსასრულებლად.

12. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

- 12.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი დადების მომენტიდან და თუკი სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული **დამატებითი პირობებით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 12.2. **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **მომსახურების, ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:
 - 12.2.1. **ზანკის** მიერ თუ: ა) **კლიენტის** მხრიდან **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის, ფულადი ვალდებულების, **განცხადებების და გარანტიების**, ნებისმიერი პირობის ან/და სხვა ვალდებულების) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, **ზანკი** უარს განაცხადებს **მომსახურებაზე** ან ბ) **კლიენტი** სრულად და ჯეროვნად არ შესასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს და გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
 - 12.2.2. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
 - 12.2.3. **ხელშეკრულებით**, **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევები, წინააღმდეგობაში არ მოდის **ხელშეკრულებასთან**.
- 12.3. **ზანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების 12.2.1. და 12.2.3. ქვეპუნქტებით** გათვალისწინებული პირობების არსებობისას ცალმხრივად, ზიანის (ზარალის) ანაზღაურების გარეშე, სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტოს **მომსახურება, ხელშეკრულება** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება** **კლიენტისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამავე შეტყობინებით **მომსახურების, ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის სხვა ვადა ან/და პირობები არ არის გათვალისწინებული.
- 12.4. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი კანონმდებლობის** საფუძველზე და მის შესაბამისად მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ზანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ხოლო თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში ან/და **ზანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებში შეწყდეს.
- 12.5. **ზანკის** მიერ **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გადაუხადოს **ზანკს** საფასური მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული **მომსახურების** შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში **ზანკი** არ იქნება ვალდებული აუნაზღაუროს **კლიენტს** რაიმე სახის ზიანი (ზარალი);
- 12.6. **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
- 12.7. თუ **ხელშეკრულების** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

13. ცვლილებები და დამატებები

- 13.1. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.
- 13.2. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.
- 13.3. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით (ან/და **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით) **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, შევცვალოს **საკომისიოს** მოცულობა. ამგვარი ცვლილება სავალდებულოა **კლიენტისთვის** მისი გამოქვეყნების ან **კლიენტის** მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დღის მომდევნო **საბანკო დღიდან**, თუ **ბანკის** მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნული ცვლილება შესაძლებელია შეეხოს, როგორც პირთა გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ პირს.
- 14. სხვა პირობები**
- 14.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 14.2. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **ხელშეკრულების**, მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **ხელშეკრულებით**, მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.
- 14.3. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების**, მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების**, მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
- 14.4. **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ან/და მათი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა **ხელშეკრულებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულებით** (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 14.5. **ხელშეკრულებაში** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულებაში** მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობის და პირიქით.
- 14.6. **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 14.7. **ხელშეკრულებაში** ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა **ხელშეკრულებაში** გამოქვეყნებული ტექსტი მოყვანილია განმარტებულ ტერმინთა გამოსაყოფად, მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 14.8. **ხელშეკრულების დანართსა** და მასთან დაკავშირებულ სხვა **ხელშეკრულებაზე** სრულად ვრცელდება **ხელშეკრულების** მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება. ამასთან, **ხელშეკრულების** და **ხელშეკრულების დანართსა** თუ მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი **დანართის** და **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების** პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი **დანართი** თუ **მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულება**.
- 14.9. **ხელშეკრულება** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულება** მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამოსიანთა ცვლილების, თუ შექმნილია მისთვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს.
- 14.10. **კლიენტს** უფლება არა აქვს **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **ხელშეკრულებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულებით** (მათ შორის, მათი **დანართით**) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. **ბანკის** უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა **კანონმდებლობით** ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **კლიენტმა** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმა თუ არა **კლიენტი**.
- 14.11. **ხელშეკრულება** განმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებშიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 14.12. **ხელშეკრულება** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე **მხარემ** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ **მხარეს** სურს, მაშინ **ხელშეკრულება** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, **მხარეთა** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა **ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.
- 14.13. **ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**.
- 15. მხარეთა ხელმოწერები**

ბანკი

კლიენტი
